ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4033564

ნომერი: AR1610219

თარიღი : 21.06.2018

გაცემის თარიღი : 25.06.2018

გაცნობის თარიღი : 26.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგური ,,ახმეტელის თეატრი", მუხიანისაკენ მიმავალ გზაზე , ნაკვეთი 01/068 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარის , N 1 , (ნაკვ.1/8) ; ქალაქი თბილისი , შპს მუნიციპალური საწარმო , "თბილტრანსი"-ს N4 , ავტოპარკის ტერიტორიიდან ; ქალაქი თბილისი , შეშელიძის ქუჩიდან მუხიანში გადასახვევ გზასთან, შპს "ლოგოსის" და "თბილტრანსის" ავტოპარკის ტერიტორიებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა არევაძე პ/ნ 56001003302
- ქ. თბილისი, გურამიშვილის N66ა, პირველი სართული

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017

წლის 4 ოქტომბრის № 3588045 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 21 ივნისს №AR1610219 განცხადებით მომართა მამუკა არევაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 4 ოქტომბრის № 3588045 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 4 ოქტომბრის № 3588045 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“, მუხიანისაკენ მიმავალ გზაზე, ნაკვეთი 01/068 / ქუჩა ხევძმარის, N1, (ნაკვ.1/8) / შპს მუნიციპალური საწარმო, „თბილტრანსი“-ს N4, ავტოპარკის ტერიტორიიდან / შეშელიძის ქუჩიდან მუხიანში გადასახვევ გზასთან, შპს „ლოგოსის“ და „თბილტრანსის“ ავტოპარკის ტერიტორიებს შორის, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.11.13.001.079), მრავალფუნქციური შენობის (საზოგადოებრივი დანიშნულების) არქიტექტურული პროექტი.
2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, მეტროსადგური ,,ახმეტელის თეატრი", მუხიანისაკენ მიმავალ გზაზე , ნაკვეთი 01/068 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარის , N 1 , (ნაკვ.1/8) / ქალაქი თბილისი , შპს მუნიციპალური საწარმო , "თბილტრანსი"-ს N4 , ავტოპარკის ტერიტორიიდან / ქალაქი თბილისი , შეშელიძის ქუჩიდან მუხიანში გადასახვევ გზასთან, შპს "ლოგოსის" და "თბილტრანსის" ავტოპარკის ტერიტორიებს შორის, შპს ,,მოდერნ ბიზნეს გრუპ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.11.13.001.079), მრავალფუნქციური შენობის (საზოგადოებრივი დანიშნულების) შეთანხმებული არქიტექტურულიპროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 10 ნოემბრიდან 2019 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2017 წლის 19 დეკემბრის №3739284 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,გემა'' (ს/კ: №400212471).
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ოქტომბრის № 3588045 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: საერთო ფართობად 6201.04 კვ.მ-ის ნაცვლად 6376,16 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 1774.96კვ.მ-ის ნაცვლად 1781,03 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 506.66 კვ.მ-ის ნაცვლად 503,00 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 992.6კვ.მ-ის ნაცვლად 985,27კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 678.92კვ.მ-ის ნაცვლად 655,45კვ.მ-ის, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 452.63კვ.მ-ის 665,36კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 361.55 კვ.მ-ის ნაცვლად 363,69 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1433.72კვ.მ-ის ნაცვლად 1422,36 კვ.მ-ის, სამშენებლო მოცულობის 23450.0 კუბ.მ-ის ნაცვლად 24112,46 კუბ.მ-ის 0.00 ნიშნულის ზევით 17665.1კუბ.მ-ის ნაცვლად 18164,16 კუბ.მ-ის, 0.00 ნიშნულის ქვევით 5784.9 კუბ.მ-ის ნაცვლად 5948,30 კუბ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ოქტომბრის № 3588045 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ოქტომბრის № 3588045 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 6376,16კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 1781,03კვ.მ, საოფისე ფართობად 503,00კვ.მ, კომერციულ ფართობად 985,27 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 655,45 კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 665,36 კვ.მ, დამხმარე ფართობად 363,69კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 1422,36კვ.მ. სამშენებლო მოცულობა 24112,46 კუბ.მ .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 18164,16. .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 5948,30.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ოქტომბრის № 3588045 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.